



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	თეოლოგია
პროგრამის ხელმძღვანელი	თეიმურაზ ბუაძე
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თეოლოგიაში Master of Arts (MA) - Theology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 ECTS (4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	28.09.2009 № 02-09/09
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	30.05.2019 № 04-19

<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>
<p>სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<a href="http://www.sabauni.edu.ge">http://www.sabauni.edu.ge</a>)</p> <p>ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი. კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერტიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78</p> <p><b>შენიშვნა:</b> ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.</p> <p>თეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p>

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

### პროგრამის მიზანი

- გაეცნოს ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას სოციალურ საკითხებთან მიმართებით; სოციალური სწავლების ბიბლიურ საფუძველს და ისტორიულ განვითარებას; ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოდელებს. გააცნობიეროს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების შედეგები, რის საფუძველზეც შეძლებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის რელევანტური პრობლემატიკის იდენტიფიცირებას, ეკლესიის სოციალური მოძღვრების იმპლემენტაციას
- ღრმად შეისწავლოს ღვთაებრივი გამოუმსნელობითი განგებულების მართლმადიდებლური კონცეფცია პროტესტანტიზმის სოტერიოლოგიურ ტრადიციასთან შედარების კონტექსტში; შეისწავლოს გამოცხადებისა და თეოლოგიური ენის ურთიერთმიმართება და საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია და სპეციფიკა. გაეცნოს მთავარ ტრინიტარულ კონცეფციებს და მათი ჩამოყალიბების ისტორიული კონტექსტს
- იცოდეს თანამედროვე ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები და მათი კონცეფციები
- სიღრმისეულად გააანალიზოს სხვადასხვა თეოლოგიური პრობლემა და აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით, შეძლოს თეოლოგიურ საკითხებზე აკადემიური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.

### სწავლის შედეგები

#### ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- (A) თანამედროვე ქრისტიან ღვთისმეტყველთა შეხედულებები და ქრისტიანული ღვთისმეტყველების უახლესი ძირითადი მიმართულებები, მათი დამოკიდებულება როგორც რელიგიურ, ისე სეკულარულ პრობლემატიკასთან, მეცნიერებასთან, კულტურასთან, სხვა აღმსარებლობებსა და რელიგიებთან, რის საფუძველზეც ავითარებს სფეროს ორიგინალურ იდეებს;
- (B) ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა; ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების შედეგები; ეკლესიის სოციალური სწავლების ისეთი კატეგორიების მნიშვნელობა, როგორებიცაა ადამიანის ღირსება, საერთო კეთილდღეობა, სუბსიდიარობა და სოლიდარობა; ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მოვალეობანი და უფლებები ეკლესიის პოზიციის შუქზე;
- (C) ეკლესიის დოგმატური მოძღვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების - ტრინიტოლოგიისა და სოტერიოლოგიის სიღრმისეული ასპექტები: ჰერმენევტიკა, ინტერკონფესიური, მართლმადიდებლური და კათოლიკური მიდგომები.

#### უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- (D) დააკავშიროს ეკლესიის დოკუმენტებში გადმოცემული შეხედულებანი თანამედროვეობაში არსებულ სოციალურ პრობლემებთან; ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის კონკრეტული მოდელის იდენტიფიცირებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობას; საჯარო ორგანოების, თანამდებობის პირთა ქმედებების საკონსტიტუციო პრინციპებისა და სეკულარიზმის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეფციის შესაბამისად შეფასებას;
- (E) კონფესიათა შორის დიალოგში მონაწილეობას, დასახოს ეკუმენური საქმიანობის ფორმები და პერსპექტივები; რელევანტურ რელიგიურ პრობლემატიკაზე კონცენტრაციით სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციას; სასწავლო, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას და შერჩევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; განსახილველი თემისა თუ საკითხისადმი მეთოდური მიდგომას, სხვადასხვა წყაროს სა-ფუძველზე საჭირო ინფორმაციის დაგროვებას, მათ სისტემატიზაციასა და ერთიანობაში მოყვანას, აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და შესრულებას;
- (F) ინტერდისციპლინურ კომუნიკაციას; მნიშვნელოვანი სოციალური, მსოფლმხედველობრივი და სამართლებრივი პრობლემების განხილვისას სხვა მეცნიერული დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინურ დიალოგში ჩაბმას; ამ რელევანტური პრობლემატიკის თეოლოგიური ხედვების დისკუსიაში მონაწილე მხარეებისთვის გასაგები აკადემიური, ტერმინოლოგიური ფორმით გადაცემას, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით;
- (G) თეოლოგიის მიმართულებით მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე დარგის უახლესი მიღწევების კრიტიკულად შეფასებას, ორიგინალური იდეების შემუშავებასა და მათ შემდგომ განვითარებას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- (H) საღვთისმეტყველო წყაროების, სტატიების და მონოგრაფიების საფუძველზე საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, უწყვეტ განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღებას; დარგობრივი ცოდნის ცალკეული ასპექტების განვითარებაში წვლილის შეტანას.
- (I) პიროვნებათაშორისი ურთიერთობების და ეთიკური ასპექტების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის თავისებურებების, საზოგადოების წევრების განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრებას და გათვალისწინებას, მათი აღიარებას და პატივისცემას. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების კომპლექსური, მულტიდისციპლინარული პრობლემების სათანადოდ გააზრებას.

**სწავლება-სწავლის მეთოდი**

- ლექცია  სამუშაო ჯგუფში მუშაობა  პრაქტიკული მუშაობა  სემინარი  ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება  სხვა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**შეფასების ფორმები და კომპონენტები**

შეფასების ფორმები და კომპონენტები	მაქსიმალური ქულა
<b>შუალედური შეფასება, მათ შორის:</b>	<b>70 ქულა</b>
წერიტი/ზეპირი გამოკითხვა	30
შუალედური წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია	10
<b>დასკვნითი შეფასება</b>	<b>30 ქულა</b>
დასკვნითი წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
<b>სულ</b>	<b>100 ქულა</b>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>	

**დასაქმების სფერო**

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხი.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) თეოლოგიის ან სხვა სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი**

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმიანი სწავლის შედეგების მიღწევას:

*შენობა-ნაგებობანი* - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის 24-სათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკით და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი აუდიტორიები.

*ბიბლიოთეკა* - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding (Funding Institutional)). სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

*აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე* - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

*საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები* - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის მიზნით, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

### სწავლების ორგანიზების თავისებურებები

სამაგისტრო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რაც ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი 90 კრედიტი - 42 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და 48 კრედიტი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	დამკვეთის წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>1</sup>	
			I წელი		II წელი		საკონტაქტო საათები <sup>2</sup>	დამოუკიდებელი საათები <sup>3</sup>
			სემესტრი					
			I	II	III	IV		
<b>სასწავლო კომპონენტი</b>								
<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>								
1.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	6/150				33	117
2.	წინაპირობის გარეშე	ეკლესიის სოციალური სწავლება	6/150				33	117
3.	წინაპირობის	ტრინიტოლოგია	6/150				33	117
4.	წინაპირობის გარეშე	თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგია	6/150				33	117
5.	წინაპირობის გარეშე	ეკლესია და სახელმწიფო	6/150				33	117
6.	წინაპირობის გარეშე	სოტერიოლოგია		6/150			33	117
7.	წინაპირობის გარეშე	თეოლოგია და ენა		6/150			33	117
<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>								
8.	წინაპირობის გარეშე	ქრისტიანული მისტიკა და ასკეტიკა		6/150	6/150		33	117
9.	წინაპირობის გარეშე	ქრისტიანული ევროპული ლიტერატურა		6/150	6/150		33	117
10.	წინაპირობის გარეშე	ქრისტიანული ანთროპოლოგია		6/150	6/150		33	117
11.	წინაპირობის გარეშე	კათოლიკე ეპისტოლეების თეოლოგიური ასპექტები		6/150	6/150		33	117
12.	წინაპირობის გარეშე	რელიგიური ანთროპოლოგია		6/150	6/150		33	117
13.	წინაპირობის გარეშე	რელიგიის სოციოლოგია		6/150	6/150		33	117
14.	წინაპირობის გარეშე	XX საუკუნის მთავარი თეოლოგიური მიმართულებები		6/150	6/150		33	117
15.	წინაპირობის გარეშე	აღმოსავლეთის ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიების ისტორია		6/150	6/150		33	117
16.	წინაპირობის გარეშე	სიბრძნე წმიდა წერილში		6/150	6/150		33	117
17.	წინაპირობის გარეშე	ავგუსტინეს მოძღვრება		6/150	6/150		33	117

18.	წინაპირობის გარეშე	საკლესიო წყაროთმცოდნეობა		6/150	6/150		33	117
19.	წინაპირობის გარეშე	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები		6/150	6/150		33	117
20.	წინაპირობის გარეშე	პოლიტიკური ისლამი და თანამედროვე სამყარო		6/150	6/150		33	117
21.	წინაპირობის გარეშე	რელიგიური საკითხები გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში		6/150	6/150		33	117
22.	წინაპირობის გარეშე	თეოლოგიური ანთროპოლოგია		6/150	6/150		33	117
23.	წინაპირობის გარეშე	თანამედროვე სამყაროს კულტურები და რელიგიური ორგანიზაციები		6/150	6/150		33	117
24.	წინაპირობის გარეშე	კულტურა და ცივილიზაცია		6/150	6/150		33	117

		კვლევითი კომპონენტი							
25.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	სამაგისტრო ნაშრომი					30/750	13	737
			სემესტრში	30	30	30	30		
			წელიწადში	60			60		
			სულ				120		

## პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები								
	A	B	C	D	E	F	G	H	I
<p>გაეცნოს ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას სოციალურ საკითხებთან მიმართებით; სოციალური სწავლების ბიბლიურ საფუძველს და ისტორიულ განვითარებას; ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოდელს. გააცნობიეროს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების შედეგები, რის საფუძველზეც შეძლებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის რელევანტური პრობლემატიკის იდენტიფიცირებას, ეკლესიის სოციალური მოძღვრების იმპლემენტაციას</p> <p>ღრმად შეისწავლოს ღვთაებრივი გამოცხადებითი განგებულების მართლმადიდებლური კონცეფცია პროტესტანტიზმის სოტერიოლოგიურ ტრადიციასთან შედარების კონტექსტში; შეისწავლოს გამოცხადებისა და თეოლოგიური ენის ურთიერთმიმართება და საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია და სპეციფიკა. გაეცნოს მთავარ ტრინიტარულ კონცეფციებს და მათი ჩამოყალიბების ისტორიული კონტექსტს</p> <p>იცოდეს თანამედროვე ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები და მათი კონცეფციები</p> <p>სიღრმისეულად გააანალიზოს სხვადასხვა თეოლოგიური პრობლემა და აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით, შეძლოს თეოლოგიურ საკითხებზე აკადემიური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება</p>	√	√		√		√			√
							√		
									√
								√	√

## პროგრამის საგალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

N	საგანი	კურსის სტატუსი	პროგრამის სწავლის შედეგები								
			(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)	(I)
1.	ეკლესიის სოციალური სწავლება	D	D	D	D	D	D	D	D	D	D
2.	ტრინიტოლოგია	D			D		D		D		
3.	თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგია	D	D		D		D		D		
4.	ეკლესია და სახელმწიფო	D		D		D		D		D	D
5.	სოტერიოლოგია	D			D				D		
6.	თეოლოგია და ენა	D			D				D		
7.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	P					P	P	P	P	P
8.	სამაგისტრო ნაშრომი	M	M		M		M	M	M	M	M

D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)
--	------------------------------------	---------------------------------